

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტაო“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	7
4. ძირითადი საშუალებები.....	13
5. არამატერიალური აქტივები	14
6. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
9. სასესხო ვალდებულება	14
10. ანარიცხები	15
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
12. ამონაგები.....	15
13. თვითღირებულება	15
14. სხვა შემოსავლები	16
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	16
16. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	16
17. სხვა ხარჯები	16
18. პოტენციური ვალდებულებები	17
19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	17
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	17
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	17



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ტაო“-ს პარტნიორსა და ხელმძღვანელს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ტაო“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგი წარმოდგენილია 9,267,164 ლარით. იმის გამო, რომ ჩვენ დავინიშნეთ კომპანიის აუდიტორებად 2021 წლის 31 დეკემბრის შემდგომ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ დავსწრებოდით მარაგის დათვლას ამ თარიღისათვის. აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის სხვა თავისებურებების გამო, ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული გზებით მოგვეპოვებინა რწმუნება კომპანიის მარაგების არსებობასა და სისრულეზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტებული. 2020 წლის ბოლოს კომპანიას არ ჩაუტარებია მარაგის ინვენტარიზაცია. ზემოთაღნიშნულის გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2020 და 2021 წლების 31 დეკემბრის დასრულებული ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან, რაც გულისხმობს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსთან“ შესაბამისობას. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

სხვა გარემოება

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოებების გამო, მაგრამ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-10 და მე-18 შენიშვნებზე, რომელიც აღწერს, რომ კომპანიას აქვს დავა შემოსავლების სამსახურთან და 2018 წლის საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებულ სადაო თანხაზე შესაბამისად აქვს განსაზღვრული რეზერვი. ამასთან 2019-2020-2021 წლების საანგარიშგებო პერიოდებზე შემოწმების მიმდინარეობისა და შესაძლო შედეგებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობიდან გამომდინარე პოტენციური ვალდებულებების წარმოშობასთან დაკავშირებით არსებობს შეუფასებელი რისკი, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობით ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

შპს „ტაო“-ს ხელმძღვანელი პასუხს აგებს 2022 წლის 29 სექტემბერს გამოცემულ მმართველობით ანგარიშგებაზე.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებული სამუშაოდან დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე „პირობით მოსაზრების საფუძველზე“ მოტანილი ინფორმაციის გარდა დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „ტაო“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შპს „ტაო“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც შეიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვავლენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „ტაო“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „ტაო“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ტაო“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „ტაო“-ს ხელმძღვანელობას, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის თამაზ სიქტურაშვილი.

თამაზ სიქტურაშვილი:

(სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-926589)

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

03 ოქტომბერი 2022 წელი





აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email:
auditprofesional@gmail.com

თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „ტაო“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „ტაო“-ს ხელმძღვანელობას, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი მოცემული აუდიტისა, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, არის თამაზ სიქტურაშვილი.

თამაზ სიქტურაშვილი:

(სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-926589)

შპს „აუდიტ - პროფესიონალი“-ს სახელით

ქუთაისი, საქართველო

03 ოქტომბერი 2022 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	არააუდირებული	
		31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5 417 520	5 149 682
არამატერიალური აქტივები	5	700	780
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 418 220	5 150 462
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	79 115	419 240
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	378 961	159 092
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	9 267 164	5 097 552
საგადასახადო აქტივი		204 364	30 221
დარიცხული მოთხოვნები		4 637	2 522
სულ მოკლევადიანი აქტივები		9 934 241	5 708 627
სულ აქტივები		15 352 461	10 859 089
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 878 612	1 878 612
გაუნაწილებელი მოგება		5 741 844	4 463 882
რეზერვები და დაფინანსება		3 404 698	1 545 911
სულ საკუთარი კაპიტალი		11 025 154	7 888 405
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	769 457	739 720
ანარიცხები	10	445 983	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 215 440	739 720
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	410 316	286 167
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2 693 231	1 938 551
გადასახდელი პროცენტი	9	8 198	5 910
სხვა დარიცხული ვალდებულებები		122	336
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 111 867	2 230 964
სულ ვალდებულებები		4 327 307	2 970 684
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		15 352 461	10 859 089

ნოდარ სანიკიძე
დირექტორი

დარეჯან დვალისვილი
ბუღალტერი

ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 03 ოქტომბერს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

		არააუდირებული	
	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5 417 520	5 149 682
არამატერიალური აქტივები	5	700	780
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 418 220	5 150 462
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	6	79 115	419 240
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	378 961	159 092
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8	9 267 164	5 097 552
საგადასახადო აქტივი		204 364	30 221
დარიცხული მოთხოვნები		4 637	2 522
სულ მოკლევადიანი აქტივები		9 934 241	5 708 627
სულ აქტივები		15 352 461	10 859 089
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 878 612	1 878 612
გაუნაწილებელი მოგება		5 741 844	4 463 882
რეზერვები და დაფინანსება		3 404 698	1 545 911
სულ საკუთარი კაპიტალი		11 025 154	7 888 405
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	769 457	739 720
ანარიცხები	10	445 983	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 215 440	739 720
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	410 316	286 167
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2 693 231	1 938 551
გადასახდელი პროცენტი	9	8 198	5 910
სხვა დარიცხული ვალდებულებები		122	336
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3 111 867	2 230 964
სულ ვალდებულებები		4 327 307	2 970 684
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		15 352 461	10 859 089

ნოდარ სანიკიძე
დირექტორი

დარეჯან დვალიშვილი
ბუღალტერი

ხელმძღვანელობის მიერ ხელმოწერილია და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 03 ოქტომბერს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	არააუდირებული	
		31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	12	17 413 533	13 088 885
თვითღირებულება	13	(14 815 181)	(11 364 614)
საერთო მოგება		2 598 352	1 724 271
სხვა შემოსავლები	14	339 942	147 743
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(1 027 948)	(879 834)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) წმინდა	16	(7 770)	9 141
სხვა ხარჯები	17	(459 355)	(30 000)
საოპერაციო მოგება		1 443 221	971 321
ფინანსური ხარჯი	9	(165 259)	(83 270)
მოგება დაბეგვრამდე		1 277 962	888 051
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1 277 962	888 051

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები და დაფინანსება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 01 იანვარი	1 878 612	3 575 831	1 151 324	6 605 767
დაფინანსების ზრდა	-	-	394 587	394 587
წმინდა მოგება	-	888 051	-	888 051
2020 წლის 31 დეკემბერი	1 878 612	4 463 882	1 545 911	7 888 405
წმინდა მოგება	-	1 277 962	1 858 787	3 136 749
2021 წლის 31 დეკემბერი	1 878 612	5 741 844	3 404 698	11 025 154

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

		არააუღირებული	
	ბენიშნა	31.12.2021	31.12.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		1 277 962	888 051
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		715 965	233 293
- ცვეთა	4	182 641	188 654
- ცვლილება ანარიცხებში	10	445 983	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		2 953	1 937
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან	16	7 770	(9 141)
- წმინდა ფინანსური ხარჯი	9	165 259	83 270
- სუბსიდირებული პროცენტი	14	(88 641)	(31 427)
ცვლილებები საშუალო კაპიტალში		(3 817 361)	(516 868)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	(219 869)	(159 092)
- მარაგები	8	(4 167 128)	(1 454 158)
- საგადასახადო აქტივები		(174 143)	10 574
- სხვა აქტივები		-	97 221
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	743 779	988 587
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(1 823 434)	604 476
- მიღებული პროცენტი		91 161	28 906
- გადახდილი პროცენტები	9	(167 606)	(83 828)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1 899 879)	549 555
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(465 351)	(858 200)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		9 515	-
- არამატერიალური აქტივის შეძენა		-	(800)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(455 836)	(859 000)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- სხვა რეზერვების და დაფინანსების ზრდა		1 858 787	394 587
- სასესხო ვალდებულების ზრდა	9	500 000	500 000
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	9	(346 114)	(196 854)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		2 012 673	697 733
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტებისა ზრდა (კლება)		(343 042)	388 287
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		419 240	40 161
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამომწვეული ცვლილება	16	2 917	(9 208)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი		79 115	419 240

1. ზოგადი ინფორმაცია

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს „ტაო“-სათვის შენიშვნა 2-ში მითითებული მომზადების საფუძვლის შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „ტაო“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ქუთაისში. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 15/12/2005 წელს, რეგისტრაციის ნომერი - 203/021, ს/კ - 212858781. შპს „ტაო“ რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი - სააქციო საზოგადოების „ავეჯის“ (ს/კ - 212796358) დაყოფის შედეგად შეიქმნა.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს 100% წლის მფლობელი პარტნიორია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ნოდარ სანიკიძე, რომელიც იღებს საწარმოს უმაღლეს მმართველობით გადაწყვეტილებებს. ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება პარტნიორის მიერ.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ქუთაისი, სულხან-საბას და გუგუნავას ქ. #2/5; სულხან-საბას გამზირი #2 / სულხან-საბას გამზირი #4, (2021 წლის 23 აგვისტომდე - ქ. ქუთაისი, მშენებლის ქ. #2). მის ძირითად საქმიანობას წამოადგენს ავეჯის წარმოებისათვის საჭირო მასალების საბითუმო ვაჭრობა, ასევე ავეჯის წარმოება და რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2021 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას, ასევე შესაბამის განმარტებით შენიშვნებს და 2020 წლის შესადარის ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე - ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს აქვს გონივრული მოლოდინი, რომ საწარმოს, მთლიანობაში, აქვს საკმარისი რესურსი, ფუნქციონირების გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან 12 თვის განმავლობაში.

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, ამზადებს დარიცხვის მეთოდით. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად საწარმო იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთ ლარამდე სიზუსტით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღიდან. აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მომზადდა შეძენის ფაქტიური ღირებულების საფუძველზე.

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

- ფულადი სახსრები - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება - ფინანსური აქტივი;
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება - ფინანსური ვალდებულება;
- სასესხო ვალდებულება - ფინანსური ვალდებულება.

3.1.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (**გარიგების დანახარჯების ჩათვლით**, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალდებულო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

3.1.2 ამორტიზებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის შემდგომი აღრიცხვისთვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

- (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
- (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
- (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და
- (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

3.1.3 თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება გაუფასურების აღიარება და შეფასება

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ცალ-ცალკე აფასებს გაუფასურებას შემდეგი ფინანსური აქტივებისთვის:

- (ა) ყველა წილობრივი ინსტრუმენტი, მათი მნიშვნელობის მიუხედავად; და
- (ბ) სხვა ფინანსური აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანია.

გაუფასურების ზარალის აღდგენა

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდება და ამ შემცირების ობიექტურად

დაკავშირება შესაძლებელი იქნება გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან (როგორიცაა, მაგალითად დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), საწარმომ უნდა აღადგინოს (უკუგაბრუნებინოს) წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალი პირდაპირ, ან გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით.

3.1.4 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელმძღვანელო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდე- ბულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულებულია, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.2 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღები თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის ღირებულება არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექსპო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

საწარმო ისტორიულად არ ქონია და არც საანგარიშგებო პერიოდში აქვს დასაქმებულთა საპენსიო პროგრამა, ასევე სამსახურიდან გათავისუფლების შემდგომი დამატებითი ანაზღაურების ან სხვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო პროგრამები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით ხარჯად აღიარებასა და ღირებულებას.

3.5 ბანკის სესხები და გარანტიები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების გამოკლებით, შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.6 სასაქონლო- მატერიალური ფასეულობები

საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებულია საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

3.7 წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები ხორციელდება ფაქტიური ღირებულებით, ზარალის ანაზღაურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა აისახება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც საწარმომ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა საწარმოს. სხვა წინასწარი გადახდები გამოიქვეთება მოგება-ზარალიდან, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს ინფორმაცია, რომ წინასწარ გადახდილი აქტივების, საქონლის ან მომსახურების მიიღება არ მოხდება, შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი პერიოდები:

➤ შენობა - ნაგებობები	50 წ
➤ მანქანა-დანადგარები	10 წ
➤ ოფისის აღჭურვილობა	5-7 წ
➤ ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წ
➤ სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წ
➤ მიწის კეთილმოწყობა	10 წ

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა აისახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

3.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: ლიცენზიებისათვის - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე; პროგრამული უზრუნველყოფისათვის 10 წელი.

3.10 საწესდებო კაპიტალი

საწარმოს დადგენილი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს პარტნიორის მიერ და მასში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ საწარმოს პარტნიორის გადაწყვეტილებით.

საწარმოს განსაზღვრული აქვს დამატებითი კაპიტალი, რომელშიც აისახება დამფუძნებლის მიერ დამატებითი დაფინანსება საწარმოს საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად.

3.11 ამონაგები

ამონაგები მზა პროდუქციისა და საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი (პროდუქცია) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ დაბეგვრის ობიექტებს.

3.13 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება- ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.14 დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და პარტნიორთა გადაწყვეტილებებს.

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებების სახით იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ის გამოცხადდა. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

3.15 იჯარა

ოპერაციული იჯარა. როდესაც საწარმო წარმოადგენს მოიჯარეს იჯარაში, რომელიც არ ახდენს საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და სარგებელის გადაცემას საწარმოსათვის მოიჯარის მხრიდან, მთლიანი იჯარის გადასახადი მიეკუთვნება წლიურ მოგებას ან ზარალს წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის პერიოდი წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე ხელშეკრულებით ქირაობს აქტივს შემდგომი ვადით, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს არჩევანი გააგრძელოს აქტივის იჯარით ფლობა შემდგომი გადახდით ან გადახდის გარეშე, როდესაც იჯარის დაწყებისას ფაქტია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევანს.

3.16 შეფასებები საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

საწარმო აკეთებს შეფასებებს და მოსაზრებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და გადაწყვეტილებები მუდმივად შეფასებულია და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც გონივრულია გარემოებების გათვალისწინებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მიღებული გადაწყვეტილებები და შეფასებები, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ აქტივების და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავენ:

მატერიალური აქტივების და არამატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდი.

მატერიალური აქტივების ექსპლუატაციის პერიოდის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის ექსპლუატაციის პერიოდის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, შეფასებულ ტექნიკურ, ფიზიკურ ცვეთას და გარემოებას, რომელშიც აქტივი მუშაობს. ცვლილებებმა ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ამორტიზაციის ნორმების კორექტირება.

საკაწრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურება.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება ეფუძნება საწარმოს მიერ კონკრეტული კლიენტის ანგარიშების ინდივიდუალურ შეფასებას. თუ საწარმო განსაზღვრავს, რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის მახასიათებლებით არსებული დებიტორის გაუფასურებისა, ის ასახავს გაუფასურების ზარალს.

3.18 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევის, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებლის გასვლა და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ იმფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიის აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

3.19 ურთიერთ დაკავშირებული მხარეები

ბალანსი და ტრანზაქციები ურთერთდაკავშირებულ მხარეებთან მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ანგანახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეული დაკავშირებული მხარეთა ურთიერთობების გათვალისწინებით, ყურადღება მიექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბანსო ღირებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრ. მშენებლობა	შენობა - ნაგებობები	მანქანა- დანადგარ.	ოფისის აღჭურვილ.	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპ. საშუალებები	გზების კეთილმოწყ.	სულ
31 დეკემბერი 2020	1 074 650	1 023 954	2 037 752	861 025	23 911	19 163	297 861	-	5 338 316
შემოსვლა	85 000	225 824	184 948	145 234	13 371	1 441	-	768	656 586
გასვლა	-	(184 948)	-	(27 511)	(7 141)	(1 307)	-	-	(220 907)
31 დეკემბერი 2021	1 159 650	1 064 830	2 222 700	978 748	30 141	19 297	297 861	768	5 773 995
ცვეთა და გაუფასურება									
31 დეკემბერი 2020	-	-	(67 925)	(79 556)	(4 280)	(3 483)	(33 390)	-	(188 634)
პერიოდის ცვეთა	-	-	(40 755)	(95 770)	(5 505)	(3 793)	(36 720)	(19)	(182 562)
გასვლა	-	-	-	11 354	2 844	523	-	-	14 721
31 დეკემბერი 2021	-	-	(108 680)	(163 972)	(6 941)	(6 753)	(70 110)	(19)	(356 475)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2020	1 074 650	1 023 954	1 969 827	781 469	19 631	15 680	264 471	-	5 149 682
31 დეკემბერი 2021	1 159 650	1 064 830	2 114 020	814 776	23 200	12 544	227 751	749	5 417 520

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

საწარმოს საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები მიწა და შენობა-ნაგებობები წარმოადგენს გირავნობის საგანს სს „პროკრედიტ ბანკიდან“ მიღებული გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის უზრუნველსაყოფად (იხ. შენიშვნა 9), ასევე შენიშვნა 10-ში აღნიშნული საგადასახადო შემოწმებით დარიცხული გადასახდელი გადასახადის უზრუნველსაყოფად 2021 წლის 30 დეკემბერს საწარმოს ქონებაზე წარმოეშვა საგადასახადო გირავნობა.

5. არამატერიალური აქტივები

საწარმოს შეძენილი აქვს საბუღალტრო პროგრამა „ორისი“, რომელიც აღრიცხული აქვს სხვა არამატერიალური აქტივების ჯგუფში და შეადგენს 700 ლარს (2020: 780 ლარს). საწყისი აღიარების შემდგომ საწარმო მის შეფასებას ახდენს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. მომსახურების ვადა განსაზღვრულია 10 წელი.

6. ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

საწარმოს არ გააჩნია ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში. ყველა ფულადი სახსრები, რაც საწარმოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია, განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე და შეადგენს 79,115 ლარს (2020: 419,240 ლარს).

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია მხოლოდ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების სახით, რომლებიც არიან საქონლის და ნედლეულის ძირითად მომწოდებლები და მათი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდისათვის შეადგენს 378,961 ლარს (2020: 159,092 ლარს).

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

საწარმოს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
საქონელი	8 421 891	4 460 724
ნედლეული და მასალები	835 458	627 046
მზა პროდუქცია	7 059	7 058
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2 756	2 724
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9 267 164	5 097 552

საწარმო მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას. მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 14,815,181 ლარი (2020: 11,364,614 ლარი) (იხ. შენიშვნა 13).

9. სასესხო ვალდებულება

საწარმომ 2018 წლის აპრილის თვეში გააფორმა #1.8608 სასესხო ხელშეკრულება სს „პროკრედიტ ბანკთან“ და მიიღო გრძელვადიანი შეღავათიანი ბიზნეს სესხი 1,000,000 ლარის ოდენობით, შემდეგი პირობებით: სესხის ვადა - 60 თვე, სესხის პროცენტი - 24.25%, სუბსიდირებული პროცენტი - 10%. 2020 წლის მაისის თვიდან სესხზე შეწყდა სუბსიდირების გაცემა, ხოლო სესხის საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 14,25%-მდე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს მიერ დაუფარავი გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებამ შეადგინა - 87,049 ლარი (2020: 324,988 ლარი), გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის სასესხო ვალდებულებამ - 237 890 ლარი (2020: 208,679 ლარი), ხოლო დარიცხულმა გადასახდელმა პროცენტმა - 2133 ლარი (2020: 3045 ლარი).

2020 წლის ნოემბრის თვეში საწარმომ სს „პროკრედიტ ბანკთან“ გააფორმა მეორე #1.9598 სასესხო ხელშეკრულება გრძელვადიანი შეღავათიანი ბიზნეს სესხზე 1,000,000 ლარის ოდენობით, საიდანაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული ქონდა ნახევარი - 500,000 ლარი, ხოლო დარჩენილი 500,000 ლარი საწარმომ აითვისა 2021 წლის საანგარიშგებო პერიოდის მარტის თვეში, შემდეგი პირობებით: სესხის ვადა - 60 თვე, სესხის პროცენტი - 14.50%, სუბსიდირებული პროცენტი - 11%. სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს საწარმოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (მიწა და შენობა-ნაგებობები - საკ. კოდი: 03.05.27.326). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს მიერ დაუფარავმა გრძელვადიანმა სასესხო ვალდებულებამ შეადგინა - 682,408 ლარი (2020: 414,732 ლარი), გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის სასესხო ვალდებულებამ - 172,426 ლარი (2020: 77,488 ლარი), ხოლო დარიცხულმა გადასახდელმა პროცენტმა - 6,065 ლარი (2020: 2,866 ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ საწარმოს გრძელვადიანი სესხის სასესხო ვალდებულებამ შეადგინა - 769,457 ლარი (2020: 739,720 ლარი), გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის სასესხო ვალდებულებამ - 410,316 ლარი (2020: 286,167 ლარი), დარიცხულმა გადასახდელმა პროცენტმა - 8,198 ლარი (2020: 5,910 ლარი), ხოლო ფინანსურმა ხარჯმა - 165,259 ლარი (2020: 83,270 ლარი).

10. ანარიცხები

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ბრძანების საფუძველზე 2021 წელს დაიწყო საწარმოს კამერალური საგადასახადო შემოწმება. შემოწმების პერიოდი განისაზღვრა 01/01/2018-დან 01/07/2021 წლამდე. საწარმოს 2021 წლის 29 დეკემბერს, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტით, 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდზე, დაერიცხა გადასახდელი გადასახადი ჯარიმა და საურავი, რის საფუძველზეც 2021 წლის 30 დეკემბერს საწარმოს, ქონებაზე, წარმოეშვა საგადასახადო გირავნობა.

2022 წელს საწარმოს გასაჩივრებული აქვს დამატებით დარიცხული თანხების დარიცხვის მოთხოვნა. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე საგადასახადო დავა არ არის დასრულებული და მაღალი ალბათობით ის შეიძლება გაგრძელდეს 2 წელი.

საწარმო წინდახედულების პრინციპიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღში ხელმისაწვდომი ყველა მტკიცებულების გათვალისწინებით, თვლის, რომ მოსალოდნელია საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გადინება და დავის მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით ანარიცხის საუკეთესო შეფასება იქნება 445,983 ლარი.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
საქონლის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 673 567	1 932 717
შეძენილი მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	19 664	5 834
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 693 231	1 938 551

12. ამონაგები

ამონაგები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
შემოსავალი პროდუქციის რეალიზიციიდან	1 097 460	1 005 455
შემოსავალი საქონლის რეალიზიციიდან	16 316 073	12 079 193
შემოსავალი იჯარიდან	-	4 237
სულ ამონაგები	17 413 533	13 088 885

13. თვითღირებულება

თვითღირებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	(1 288 102)	(1 030 273)
გაცივებული/შეძენილი საქონელი	(13 527 079)	(10 334 341)
სულ თვითღირებულება	(14 815 181)	(11 364 614)

საწარმო თვითღირებულებით მარაგის ჩამოწერას აღრიცხავს საშუალო შეწონილი მეთოდის ფორმულით.

14. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
მომწოდებლებიდან მიღებული ბონუსები და საჩუქარი	142 422	76 568
შელავათიან ბიზნეს სესხებზე მიღებული სუბსიდირების პროცენტი	88 641	31 428
კოვიდთან დაკავშირებული საშემოსავლო შეღავათი	32 861	39 747
შემოსავალი იჯარიდან	17 000	-
შემოსავალი საგადასახადო ბარათის გასწორებიდან	52 734	-
ძირ.საშუალებების შემოსავალში აყვანა	6 284	-
სულ სხვა შემოსავლები	339 942	147 743

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	(379 947)	(311 041)
რემონტი	(97 502)	(42 186)
ცვეთა და ამორტიზაცია	(182 641)	(188 654)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(44 957)	(33 328)
სამეურნეო ხარჯი	14 135	(31 285)
საკონსულტაციო მომსახურება	(24 000)	-
საწვავის ხარჯი	(111 164)	(83 437)
ავტომაქანის ხარჯი	(48 674)	(38 287)
ტრანსპორტირების ხარჯი	-	(72 297)
კომუნალური ხარჯი	(82 245)	(53 272)
სხვა საერთო ხარჯი	(70 953)	(26 047)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(1 027 948)	(879 834)

16. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

სხვა შემოსულობები/(ზარალი) წმინდა 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია საკურსო სხვაობის სახით:

	2021	2020
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2 917	(9 208)
სავაჭრო ვალდებულებები	(10 687)	18 349
სულ საკურსო სხვაობა	(7 770)	9 141

17. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	2021	2020
ქველმოქმედება	(30)	(30 000)
არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში	(4 000)	-
საგადასახადო საურავი	(104)	-
ძირითადი საშ. ჩამოწერა	(9 238)	-
ანარიცხის ხარჯი (იხ. შენიშვნა 10)	(445 983)	-
სულ სხვა ხარჯები	(459 355)	(30 000)

სხვა ხარჯებში ასახული თანხა 30,000 ლარი წარმოადგენს ქველმოქმედებას, რომელიც საწარმომ 2020 წლის მარტის თვეში გადარიცხა ბიუჯეტში კოვიდ 19-ის პანდემიის დასამარცხებლად.

18. პოტენციური ვალდებულებები

შენიშვნა 10-ში აღნიშნული საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 10 აგვისტოს ბრძანებით, საწარმოს საგადასახადო შემოწმების ვადა, 2019-2020-2021 საანგარიშო პერიოდებზე, გაგრძელდა 2022 წლის 10 ნოემბრამდე, რომლის შედეგადაც შესაძლოა წარმოიქმნას რისკი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებაში. ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ხელმოწერის თარიღისათვის ამ პერიოდების შემოწმება არ იყო დაწყებული. ამ ეტაპზე განუსაზღვრელია და არ არსებობს საწარმოს მენეჯმენტისათვის არანაირი ხელმისაწვდომი მტკიცებულება შესაძლო, პოტენციური ვალდებულების წარმოშობის და მისი შეფასების შესახებ.

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ: პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ, კონტროლდებიან, ან ერთობლივი კონტროლის ქვეშ არიან ორგანიზაციასთან, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე, ან ფლობენ საერთო კონტროლს მასზე; არიან ძირითადი მმართველი პერსონალი ან მათი ოჯახის წევრები; წარმოადგენენ ზემოთ ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს; ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია ხმის უფლება ასეთ საწარმოში ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია უმაღლესი ხელმძღვანელი პირების და სხვა დაკავშირებული მხარეების ანაზღაურება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2021	2020
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი	25 500	24 000
სხვა დაკავშირებული მხარეები	18 500	18 000
სულ ხელფასის სახით გაცემული ანაზღაურება	44 000	42 000

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საწარმომ ააშენა და 2022 წლის აპრილის თვეში ექსპლოატაციაში მიიღო სამ სართულიანი ახალი 2475 კვ.მ შენობა, რომელშიც განათავსა მზა პროდუქციის (ავეჯის) მაღაზია.

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 03 ოქტომბერს.

შპს „ტაო“

მმართველობის ანგარიშგება

2021 წელი

შინაარსი

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ;
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში;
3. თავი II- საზოგადოების განვითარების პერსპექტივები;
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა;
5. თავი IV- საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
6. თავი V- გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა
7. თავი VI- ძირითადი რისკები და გაურკვევლობები;

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ტაო“ შემდგომში საწარმო წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში, ქ. ქუთაისში. რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიერ 15/12/2005 წელს, რეგისტრაციის ნომერი- 203/021, ს/კ - 212858781. შპს „ტაო“ რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი-სააქციო საზოგადოების „ავეჯის“ (ს/კ 212796358) დაყოფის შემდეგ შეიქმნა.

2021 წლის საანგარიშო პერიოდში საწარმოს 100% წილის მფლობელი პარტნიორია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი ნოდარ სანიკიძე, რომელიც იღებს საწარმოს უმაღლეს მმართველობით გადაწყვეტილებებს. ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება პარტნიორის მიერ.

საწარმოს იურიდიული მისამართია, საქართველო, ქ. ქუთაისი, სულხან-საბასა და გუგუნავას ქ #2/5; სულხან-საბას გამზირი #2, სულხან-საბას გამზირი #4, (2021 წლის 23 აგვისტომდე- ქ. ქუთაისი, მშენებლის ქ #2). მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის წარმოებისათვის საჯირო მასალების საბითუმო ვაჭრობა, ასევე ავეჯის წარმოება და რეალიზაცია.

საქმიანობის მიმოხილვა:

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კომპანის დაარსდა 2005 წელს. თავდაპირველად ფირმის ძირითადი მიმართულება იყო ავეჯის მაკომპლექტებელი ელემენტებით ვაჭრობა, შემდეგ კომპანიამ დაიწყო ავეჯის მასალების დახერხვისა და დაწიბოების მომსახურეობის დამატება და ავეჯის წარმოება, ხოლო მოგვიანებით დაიწყო საავეჯე მასალების იმპორტი, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ფირმის პოზიციები ბაზარზე. თავდაპირველად კომპანიაში დასაქმებული იყო 10 (ათი) თანამშრომელი, თუმცა დღეს დასაქმებულთა რაოდენობამ 50-ს (ორმოცდაათს) გადააჭარბა. კომპანია საქმიანობს მხოლოდ ქ. ქუთაისში, არ გააჩნია ფილიალები რეგიონში.

კომპანიის სავაჭრო და სამეწარმეო ობიექტები:

1. კომპანია საქმიანობს 14550 კვ. მეტრ ფართობში, რომელიც შედგება ოფისის შენობის, ავეჯის საამქროს, სავაჭრო და წარმოების საწყობების, საგამოფენო დარბაზისა და სავაჭრო სივრცისაგან.
2. 2021 წელს კომპანიამ ააშენა 2475 კვ. მეტრი ახალი სავაჭრო ობიექტი, რომელიც ექსპლოატაციაში შევიდა 2022 წელს, სადაც მოახდენს საკუთარი წარმოებისა და იმპორტირებული ავეჯის რეალიზაციას.

2021 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2022 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, შემსყიდვლების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

თავი I

საქმიანობის ანგარიში

საზოგადოების მართვა

საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

პარტნიორთა საერთო კრებაზე (რომელსაც დღეისთვის 1 პარტნიორი წარმოადგენს) საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების

გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.


საზოგადოების დამფუძნებლის გადაწყვეტილებით დირექტორად არჩეულ იქნა ნოდარ სანიკიძე დაბადების წელი 1948, საქართველოს მოქალაქე.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

ორგანიზაციული სტრუქტურა :



თავი II.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- არსებული კონკურენციის პირობებში კომპანიის მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს;
- კომპანიის მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს პროდუქციის მრავალფეროვნება. მენეჯმენტი ცდილობს სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით და საკუთარი რესურსებით გააფართოვოს აღნიშნული მიმართულება. მიყვება ბაზრის მოთხოვნებს. ამყარებს ახალ სავაჭრო ურთიერთობებს უცხოელ მომწოდებლებთან;
- კომპანია გეგმავს საბითუმო ქსელის განვითარებას;

განვითარების რესურსები:

საზოგადოების განვითარების რესურსებია:

- კომპანიას გააჩნია ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად მისაწოდებელი საქონლის საკმაო მარაგი, ასევე კვალიფიციური კადრები და განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა (საწყობი, საამქრო, მაღაზია, მანქანა-დანადგარები, ფინანსური რესურსები...)

თავი III.

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ახორციელებს ინვესტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:


- ვერტიკალური ჭრის ხერხები (იტალიური);
- დასალენტი დანადგარები (იტალიური);

თავი IV


საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის ინვესტიციებს საწარმოს განვითარებაში, ასევე საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტისა და ხარისხის ზრდასა და გაუმჯობესებაში, რის შედეგადაც აღინიშნება დასაქმებულთა რაოდენობის, აქტივების, შემოსავლების პერმანენტული ზრდა. დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:


1 ბოლო 3 წელში აქტივების ზრდის ტენდენცია:



2. შემოსავლების დინამიკა 2019 წლიდან 2021 წლის ჩათვლით:



3. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2019-2021 წლებში



შპს „ტაო“-ს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ სავაჭრო დარბაზში და ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდებარეობითი სქესის თანამშრომლები, თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

თავი V

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

თავი VI

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკების მართვა. ყველა ლოკაციაზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. კომპანიის ძირითად რისკებად მივიჩნევთ:

1. **სავალუტო რისკი** - გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე.
2. **კადრების გადინების რისკი** - საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს კვალიფიური კადრების მიღებასა და შენარჩუნებაზე. ამისათვის კომპანიაში გაიცემა სამართლიანი ანაზღაურება, სისტემატიურად უტარდებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსები.
3. **სტრატეგიული საქონლის მომარაგების რისკი** - 2020 წელს მსოფლიოში განვითარებული პანდემიის გამო შეიქმნა უცხოური მომწოდებლებისგან შეკვეთების დამზადების ვადების გადაწევა და ლიმიტების დაწესება, კომპანიამ ამ რისკის მოსაგვარებლად შეცვალა შესყიდვების დაგეგმარების სისტემა, ფინანსური რესურსები გამოიყენა მომწოდებლებისგან ლიმიტების გაზრდის და მოწოდების ვადების დასარეგულირებლად.
4. პროექტის მუშაობისას **ბუნებრივი მოვლენების** შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი ბუნებრივი მოვლენები.
5. **ქონებრივი რისკები** - დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან, რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულებელყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:
 - გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა;
 - ვაზღვევთ ქონებას;
 - მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება;
 - ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

1. კონკურენციის რისკი;

3. მომწოდებლებთან/მყიდველებთან ურთიერთობის გაფუჭება;

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

შპს „ტაოს“ დირექტორი:

/Ե. ՆԱՆՈՅԻԺԵ/



სხვა შესაძლო რისკები შეიძლება იყოს:

1. კონკურენციის რისკი;
2. ტენდენციების შეცვლა და ნაშთების გაუფასურება;
3. მომწოდებლებთან/მყიდველებთან ურთიერთობის გაფუჭება;

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2022 წლის 03 ოქტომბერს.

შპს „ტაოს“ დირექტორი:

/ნ. სანიკიძე/